ვამტკიცებ



არჩილ თალაკვაძე
პარლამენტის თავმჯდომარე

01/34/19
22-10-2019

2019 წლის 21 ოქტომბერი

შვეიცარიის კონფედერაციის პარლამენტის თავმჯდომარის ქალბატონ მარინა კარობიო გუშეტის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებული

სამუშაო გეგმა

2019 წლის 27-30 ოქტომბერი

1. მომზადდეს თბილისის საერთაშორისო აეროპორტი დელეგაციის მიღებისთვის და გაცილებისთვის; თბილისის საერთაშორისო აეროპორტში უზრუნველყოფილ იქნეს:

- მაღალი დონის სტუმრების მისაღები დარბაზი დელეგაციის წევრების ჩამოსვლისას და გამგზავრებისას, შემდეგი გრაფიკის მიხედვით:
- **<u>ჩამოსვლა:</u>**

✓ 27 ოქტომბერი, 17:10 საათი (რეისი: TK 382 სტამბოლი-თბილისი);

- **<u>გამგზავრება:</u>**

✓ 29 ოქტომბერი, 18:05 საათი (რეისი: TK 382 თბილისი-სტამბოლი);

✓ 30 ოქტომბერი, 18:05 საათი (რეისი: TK 382 თბილისი-სტამბოლი);

- მაღალი დონის სტუმრების მისაღები დარბაზის კიბეებზე საჭირო ინვენტარის მოწყობა;
- საქართველოს და შვეიცარიის კონფედერაციის სახელმწიფო დროშების გამოფენა;
- სტუმრებისთვის ყავა, ჩაი, გამაგრილებელი სასმელები და ტკბილი სუფრა, 10 პერსონაზე;
- დელეგაციის თანმხლები ავტომანქანების, დამხვედრი და გამცილებელი პირების შეშვება სამთავრობო მომსახურების ტერმინალში.
  (პასუხ: ა. ჩუბინიძე; დ. სალაღაია; თ. ყოლბაია; ჰ. სხულუხია; ი. ბროკიშვილი)

2. უზრუნველყოფილ იქნეს ორი მაღალი კლასის ავტომანქანა მაღალი რანგის სტუმრისათვის, ერთი 13 ადგილიანი მიკროავტობუსი დელეგაციის წევრებისათვის, ორი მსუბუქი ავტომანქანა დელეგაციასთან მომუშავე პროტოკოლის თანამშრომლებისათვის ვიზიტის განმავლობაში და 1 ავტომანქანა ბარგისთვის,

მხოლოდ 27 ოქტომბერს, დელეგაციის ბარგის სასტუმროში ტრანსპორტირებისთვის; უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშული მანქანები სასმელი წყლით, საწვავითა და შესაბამისი რაოდენობის მანქანის რეცხვის ტალონით, ვიზიტის განმავლობაში.
(პასუხ: ჰ. სხულუხია; ი. ბროკიშვილი)

3. უზრუნველყოფილ იქნეს მაღალი რანგის სტუმრის დაცვა. მაღალი რანგის სტუმარს არ ახლავს დაცვის ოფიცერი.

(პასუხ: ა. ჩუბინიძე)

4. უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის გაცილება-ესკორტირების ქვედანაყოფის 2 ავტომანქანა დელეგაციის თანხლებისათვის ვიზიტის განმავლობაში.

(პასუხ: ა. ჩუბინიძე)

5. უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების დაცვა ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებულ ობიექტებზე.

(პასუხ: ვ. გომელაური; ა. ჩუბინიძე)

6. დაიჯავშნოს საჭირო რაოდენობის ოთახები სასტუმროში „თბილისი მარიოტი“. დელეგაციის წევრების განთავსების ხარჯს, 1+2 ფორმატით დაფარავს საქართველოს პარლამენტი.

(პასუხ:. ჰ. სხულუხია; ი. ბროკიშვილი)

7. უზრუნველყოფილ იქნეს ოფიციალური შეხვედრების ორგანიზება პროგრამის შესაბამისად.

(პასუხ: თ. ყოლბაია; ი. ბროკიშვილი)

8. მაღალი რანგის სტუმრის საქართველოს პარლამენტში მობრძანებისას, 28 ოქტომბერს, უზრუნველყოფილ იქნეს:

- საჭირო ინვენტარის მოწყობა საქართველოს პარლამენტის ეზოში, მაღალი რანგის სტუმრის მანქანის გაჩერების ადგილიდან „ბ“ კორპუსის მიმართულებით ჩამოსასვლელ კიბეებზე და საქართველოს პარლამენტის „ბ“ კორპუსის ვესტიბიულში კიბეებამდე;
- საქართველოს სახელმწიფო და შვეიცარიის კონფედერაციის სახელმწიფო დროშების განთავსება კოლონებთან, საქართველოს პარლამენტის შენობის „ბ“ კორპუსის ფოიეში, დავით აღმაშენებლის სახელობის დარბაზის ფოიეში და დავით აღმაშენებლის სახელობის დარბაზში.
(პასუხ: ჰ. სხულუხია; ი. ბროკიშვილი)

9. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და შვეიცარიის კონფედერაციის პარლამენტის თავმჯდომარის ოფიციალური შეხვედრისათვის, უზრუნველყოფილ იქნეს:

- საქართველოს პარლამენტის დავით აღმაშენებლის სახელობის დარბაზის დაჯავშნა, პროგრამის შესაბამისად;
- შეხვედრის მონაწილეთათვის სახელობითი ბარათების დამზადება და შეხვედრის მაგიდაზე განთავსება;
- შესაბამისი რაოდენობის ბლოკნოტების, კალმების და საინფორმაციო მასალის განთავსება შეხვედრის მაგიდაზე;
- 2 ცალი თაიგული შეხვედრის მაგიდისათვის;
- შესაბამისი რაოდენობის გამაგრილებელი სასმელები შეხვედრის მონაწილეთათვის;
- შეხვედრის ოთახის რადიოფიცირება.

(პასუხ: ე. სვიანაიძე; ჰ. სხულუხია; მ. გოცირიძე; ნ. ლომიძე; ა. მარჯანიძე; ი. ბროკიშვილი)

10. უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და შვეიცარიის კონფედერაციის პარლამენტის თავმჯდომარის ერთობლივი განცხადება პრესისთვის 28 ოქტომბერს, ორმხრივი შეხვედრის დასრულების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის დავით აღმაშენებლის სახელობის დარბაზის ფოიეში, ქართულ-ინგლისური ენების სინქრონული თარგმანით. უზრუნველყოფილ იქნეს 2 ტრიბუნა მიკროფონებით და შესაბამისი აპარატურით.
(პასუხ: მ. ანიკაშვილი; მ. გოცირიძე; ჰ. სხულუხია; თ. ყოლბაია; ნ. ლომიძე)

11. უზრუნველყოფილ იქნეს საპატიო ყარაული მაღალი რანგის სტუმრის საქართველოს პარლამენტში მობრძანებისას ა.წ. 28 ოქტომბერს, 10:00 საათზე.

(პასუხ: ი. ღარიბაშვილი; ი. ბროკიშვილი)

12. უზრუნველყოფილი იქნეს წესრიგის დაცვა საქართველოს პარლამენტის თბილისის სასახლეში დელეგაციის გადაადგილების მარშრუტზე და პროგრამით გათვალისწინებულ შეხვედრაზე.

(პასუხ: ა. ყაველაშვილი)

13. უზრუნველყოფილ იქნეს დელეგაციის მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლების მონახულება, სოფელ წეროვანში, 28 ოქტომბერს, 10:30 საათზე.

(პასუხ: ე. ტიკარაძე; ი. ბროკიშვილი)

14. უზრუნველყოფილ იქნეს დელეგაციის მიერ ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მონახულება სოფელ დიდ ხურვალეთში, 28 ოქტომბერს, 11:30 საათზე.

(პასუხ: მ. ბაღაშვილი; ი. ბროკიშვილი)

15. უზრუნველყოფილ იქნეს დელეგაციის მიერ ძველი თბილისის ღირსშესანიშნაობების 27 ოქტომბერს, ხოლო მცხეთის ღირსშესანიშნაობების 28 ოქტომბერს დათვალიერება, ინგლისურენოვანი გიდის თანხლებით.
(პასუხ: ჰ. სხულუხია; ი. ბროკიშვილი)

16. საქართველოს პარლამენტის პრესსამსახურმა უზრუნველყოს დელეგაციის ვიზიტის გაშუქება მედიის საშუალებებით.
(პასუხ: მ. ანიკაშვილი)

17. უზრუნველყოფილ იქნეს სამახსოვრო საჩუქრები მაღალი რანგის სტუმრისათვის და ოფიციალური დელეგაციის წევრებისათვის.
(პასუხ: ჰ. სხულუხია; მ. ბოტკოველი; ი. ბროკიშვილი)

18. უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის შედგენა, დაკაბადონება, დაბეჭდვა და დარიგება ვიზიტში მონაწილე ოფიციალურ პირებზე.
(პასუხ: ი. ბროკიშვილი)

19. მომზადდეს საინფორმაციო მასალა შვეიცარიის კონფედერაციის შესახებ.
(პასუხ: ა. მარჯანიძე)

20. 25 ოქტომბრისთვის, დამზადდეს:
- ერთი ცალი შვეიცარიის კონფედერაციის სახელმწიფო დროშა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გამოსაფენად (1,50X1,50);
- ერთი ცალი შვეიცარიის კონფედერაციის სახელმწიფო დროშა სასტუმროში „თბილისი მარიოტი“ გამოსაფენად (1,40X1,40);
- ერთი ცალი შვეიცარიის კონფედერაციის ორმხრივი სახელმწიფო დროშა, არასტანდარტული ზომის (115X115), პარლამენტის სასახლის ეზოში, სტუმრის მიღების ადგილზე გამოსაფენად;
- სამი ცალი შვეიცარიის კონფედერაციის სახელმწიფო სამანქანე დროშა;
- საჭირო რაოდენობის ოფიციალური სადილის მოსაწვევი ბარათები, კონვერტებითურთ;
- საჭირო რაოდენობის პატარა ზომის კუვერტული ბარათები;
- საჭირო რაოდენობის საშუალო ზომის სამანქანე ლამინირებული აბრები.
(პასუხ: ჰ. სხულუხია; ი. ბროკიშვილი)

21. მომზადდეს სადილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბატონ არჩილ თალაკვაძის სახელით, 30 ოქტომბერს, 14:00 საათზე, რესტორანში „ვინოტელი“, 20 პერსონაზე და დამხმარე მაგიდა 5 პერსონაზე;
(პასუხ: ჰ. სხულუხია; ი. ბროკიშვილი)

22. დელეგაციის სტუმრობის ყველა ხარჯს, გარდა მე-6 პუნქტში მითითებული გამონაკლისისა, დაფარავს საქართველოს პარლამენტი.

(პასუხ: დ. ჭურაძე)

23. დელეგაციის ვიზიტისათვის საერთო პასუხისმგებლობა დაევალოს საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსს, ბატონ გივი მიქანაძეს.

ცნობა: *დელეგაციის შემადგენლობაშია 7 ადამიანი.*

დელეგაციის პროგრამა, თან ერთვის გეგმას.
დანართი: 3 ფურცელი

საკონტაქტო პირი:
ირაკლი ბროკიშვილი
599 707041
ibrokishvili@parliament.ge